

მენორა

გამოდის 1993 წლის მარტიდან
2000 წლის მარტიდან გამოდის თვეში ორჯერ
გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
WWW.opentext.ge/menora

ებრაული გაზეთი
საქართველოში
MENORA
JEWISH NEWSPAPER
IN GEORGIA
"מנורה"
"מנורה"
"МЕНОРА"
ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА
В ГРУЗИИ
"עיתון יהודי"
"בגורג"


ნომერი
(ძისლავი)
15-30
№21 (285)
(5769 წელი)
2008 წელი
ფასი 50 თეთრი

מנורה

აქილს ნომერშია:

ამერიკელი პოლიტოლოგის თვალით: რას ნიშნავს რუსი ანტისემიტები
ქართულ-ებრაულ ურთიერთობაზე
კიდევაც დაიზრდებიან

II გვ.



ფიქრები
ბადრი პატარკაციაშვილის
დაბადების დღეს
III გვ.

საქართველოს ებრაელობის
ცხოვრების
ერთი წელიწადი

IV-V გვ.



გაზეთ „მენორას“ დაარსების
მე-15 წლისთავს ულოცავენ:
VI გვ.

არჩელ ლევინის კომენტარი
თორის საკვირაო თავისა
VII გვ.



ქართველი მხატვრის
გამოფენა ისრაელში
VII გვ.



ვინ გახდება მარადიული
ქალაქის მერი?
VIII გვ.



მართულ-მხარული ურთიერთობები რუსული ანტისემიტიზმის კონფიქტში

პოლ გოგლი

რუსი ანტისემიტები თავიანთ საკომუნიკაციო საშუალებებს იყენებენ იმისათვის, რომ საკუთარი ინტერპრეტაცია მოარგონ საქართველოსა და ისრაელს შორის არსებულ ურთიერთობებს. ისინი აცხადებენ, რომ მთავარი არის ისრაელის დახმარების საქართველოსადმი მდგომარეობის იმაში, რომ ეს სახელმწიფო სამხედრო საფრთხედ იქცევს რუსეთისათვის. ეს არის ინფორმაცია, რომელიც არსებულ სიტუაციაში კიდევ უფრო გააღვივებს ანტისემიტიზმს, რადიკალურად განწყობილ რუს ნაციონალისტებს შორის.

მაგრამ იმის გამო, რომ ერთი მხრივ ებრაელების რაოდენობა და მეორეს მხრივ ლიად გამოხატული ანტისემიტების რიცხვი რუსეთში ახლა უფრო მცირეა, ვიდრე წინათ, ქსენოფობიური ვენებანი გამოვლენილი იქნა ისეთი ჯგუფების მიერ, როგორებიცაა მოძრაობა „არალეგალური ემოგრაციის წინააღმდეგ“. შეიძლება ეს ვენებანი გარკვეულწილად მიმართული იქნეს ებრაული თემის წინააღმდეგ რუსეთში, თუკი ისრაელსა და საქართველოს შორის კავშირებზე მახვილის გაკეთება კვლავ გაგრძელდება.

აქამდე სტატიების უმრავლესობა, რომლებიც საქართველოსა და ებრაელებს ერთმანეთთან აკავშირებენ და ლანდლავენ როგორც ერთს, ასევე მეორეს, მხოლოდ ექსტრემისტულ საიტებსა და ბლოგებზე იბეჭდება და ნაკლებად იჭერს ადგილს საყოველთაოდ ხელმისაწვდომ ბეჭდვითა და ელექტრონულ მედიაში, მაგრამ გავიხსენოთ ისიც, რომ იგივე „არალეგალური ემიგრაციის წინააღმდეგ“ მოძრაობის წევრებმა თავის დროზე შესძლეს მობილიზება მოეხდინათ თავიანთი მომხრეებისა და დაერაზმათ ისინი არალეგალური ემიგრანტებისა და კავკასიის ხალხების წინააღმდეგ.

ისრაელისა და ებრაული კავშირები საქართველოსთან — ანტისემიტური თავდასხმის საუკეთესო მაგალითი — წარმოდგენილია სტატიით, რომლის სათაურია „რატომ ეხმარება ისრაელი ქართველებს?“ სტატიის ავტორია იგორ სავინი, რომლის

პოლ გოგლი ცნობილი ამერიკელი პოლიტიკოლოგია. იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა საერთაშორისო სამაჟინტო კომპანიის დირექტორთა საგანგებო მრჩევლად, „ამერიკის ხმის“ დირექტორის მრჩევლად, რადიო „თავისუფლებისა“ და „თავისუფალი ევროპის“ ასოცირებულ დირექტორად კომუნიკაციების სფეროში, იყო კარნეგის მშვიდობის ფონდის დირექტორი, დირექტორის მოადგილე საბჭოთა კავშირის ერებისა და ეროვნებების საკითხებთან დაკავშირებული განყოფილების შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში, აგრეთვე, მთავარი ანალიტიკოსი სახელმწიფო დეპარტამენტის ცენტრალური სადაზღვევო სამსახურისა.

ქვემოთ გთავაზობთ მის სტატიას „ქართულ-ებრაული ურთიერთობები რუსული ანტისემიტიზმის კონტექსტში“.

არც პროფესიაა მითითებული და არც სამსახურებრივი სტატუსი. მასალა პირველად გამოჩნდა პორტალზე „რუსსკაია იდეა“, მაგრამ მოგვიანებით იგი გადაბეჭდილი იქნა სხვადასხვა გამოცემების მიერ, რათა სტატიის მკითხველთა აუდიტორია გაზრდილიყო (იხ. სნრ. რუსიდეა. ორგ/ა-50027).

სავინი სტატიის აცხადებს: იძულებული ვიყავი მიმეტანა ეს ჩემი თანამოაზრე რუსი ნაციონალისტების ყურამდე, რადგან გასული კვირის ბოლოს რუსეთის შტაბის უფროსის მოადგილემ ანატოლი ნოგოვიცინმა განაცხადა, რომ მას აქვს მტკიცებულება იმასთან დაკავშირებით, რომ ისრაელმა საქართველოში ჩაიტანა იარაღი და დაეხმარა მას სამხედრო ძალის განრთვებაში. თუმცა, გენერალს დეტალები არ დაუსახელებია.

მაგრამ ამ სტატიის ავტორის თანახმად, დეტალები მოცემულია ებრაულ გამოცემებში, ისეთებში, როგორებიცაა „ევრეისკოე სლოვო“ და ისრაელის სხვა საინფორმაციო საშუალებები და ყველას, ვინც კი დროს გამოძებნის ამისათვის, შეუძლია მათი წაკითხვა. სავინი აქ ვრცლად ასახელებს ამ გამოცემებს, რათა უჩვენოს, თუ რა დახმარებას უწევს ისრაელი საქართველოს.

მაგრამ, ამ პუბლიკაციებს შორის ყველაზე შემაფოთებელი ის კი არ არის, რომ ისრაელმა წვლილი შეიტანა საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების

საქმეში, არამედ ის ფოტოები, რომლებიც ასახავს საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ურთიერთობას ებრაულ თემთან თავად ქვეყნის შიგნით და განცხადებები, რომელთა თანახმად მისი ცოლის ებრაული წარმომავლობა არის მიზეზი იმისა, რომ ისრაელი ასე უდგას გვერდით საქართველოს.

როგორც სავინი ამბობს, მრავალი რუსული გამოცემა, მათ შორის კომპრომატ-რუ იტყობინება, რომ სააკაშვილის კავშირებს შორის დასავლეთთან, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მის დასავლელ ცოლს, სანდრა რულოვს (რომელსაც აგრეთვე იცნობენ, როგორც სანდრა ედუარდოვნა რულოვსკის). ყველა ოფიციალურ ბიოგრაფიაში — წერს სტატიის ავტორი — სააკაშვილის ცოლი მოხსენიებულია, როგორც ჰოლანდიელი, თუმცა, ჰოლანდიური მხოლოდ მისი მოქალაქეობრივი სტატუსია. — ასკვნის იგი. მისი მამა — აგრძელებს ანტისემიტი ავტორი, — ემიგრირებული იქნა ჩეხეთის რესპუბლიკიდან როგორც ებრაელი, ხოლო დედა ზოგიერთი წყაროს თანახმად არის პოლონელი ებრაელი, თუმცა, სხვა ცნობები იუწყებიან, რომ იგი ჰოლანდიელია. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, — აგრძელებს სავინი, — თუ რატომ გამოჩნდა იერუსალიმის ქუჩებში საქართველოს უკანასკნელი არჩევნების დროს მონოდება ყველა ქართველი ებრაელისადმი, კენჭი უყარეთ მიშას-ო.

ყველა ამ ფაქტიდან გამომდინარე —

დაჟინებით აცხადებს სავინი, — ცხადი გახდა, თუ რატომ მოვიდნენ საქართველოში ხელისუფლების სათავეში ქართულ ენაზე მოლაპარაკე ებრაელები, რომლებსაც მხარს უჭერენ შეერთებული შტატები და ისრაელის ფულითა და იარაღით ეხმარებიან, რისი მიზანიც არის ცხადი და გამჭვირვალე, შექმნან დაძაბულობა კავკასიაში, რათა მის გასაუფლებლყოფად აღნიშნულ რეგიონში შემოყვანონ ნატო.

ამ სტრიქონების ავტორი აქვე აღნიშნავს, რომ როცა სამხრეთ ოსეთზე ქართველების თავდასხმა (!) განხორციელდა, მაშინვე გაჩნდა იქ საკმაოდ დიდი ჯგუფი ისრაელიელი უურნალისტებისა, მათ შორის „ჰაარეც-ისა“ და იეტ პორტალის წარმომადგენლებიც, რათა უზრუნველყოთ ის ფაქტი, რომ მსოფლიოს ცოდნოდა არსებული სინამდვილის ქართული ვერსია, ვიდრე სიმართლე იმის შესახებ, თუ რა მოხდა იქ სინამდვილეში.

გონიერი ადამიანი მაშინვე უარყოფს ამ უმსგავსო ნაზავს, როგორც სახიფათო ტყუილს, მაგრამ რუსი ქსენოფობები ამ კატეგორიას ნამდვილად არ განეკუთვნებიან და სიძულვილით გაჯერებულ სამყაროში, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, აუცილებლად ნაიკითხავენ სავინის და მისი მსგავსების ნამოღვაწარს, რაც საკმარისი აღმოჩნდება მათთვის, რომ თავს დაესხან რუსეთის ფედერაციაში მცხოვრებ ებრაელებს და ქართველებს.

ერთი იმედიღა რჩება — რუსეთის მთავრობა გონს მოეგება და ბრძოლას გამოუცხადებს იმათ, ვინც ეთნიკური მოსახლეობის შევიწროებას ქადაგებს, მაგრამ ჯერჯერობით, სანამ მოსკოვი დაკავებულია იმათ წინააღმდეგ ბრძოლით, ვინც მათ აკრიტიკებს საქართველოში თუ სხვაგან მათ მიერ გატარებული პოლიტიკისათვის, ძალზე მცირე ან სულაც არაფერი კეთდება, რათა შეაჩერონ საინფორმაციო წყაროები სავინი და მისი მსგავსნი შხამს ანთხვენ ირგვლივ.

ინგლისურიდან თარგმნა მანანა ჯინჯინაშვილმა გაზეთი „დავითის ფარი“

თქონას საიზრუნო...

ამ დღეებში სასიხარულო ინფორმაცია მოვიდა ისრაელიდან: „თიფერეთ ცვის“ ყოფილი მოსწავლე მოშეხაიმ მდინარაძე გამარჯვებულია!

ორგანიზაცია «დეგელ იერუსალიმი» (იერუსალიმის დროშა) ინიციატივითა და ორგანიზებით ჩატარდა კონკურსი-ვიქტორინა თემაზე: „მეშვიდე წლის კანონები“ (შმიტის წელი).

ვიქტორინა ოთხ ეტაპად ჩატარდა, პირველი ორი ტური გაზაფხულზე შედგა, მესამე ტური კი ამა წლის ოქტომბრის თვეში იერუსალიმში შედგა, რომელშიც წინა ორ ტურში გამარჯვებულები იღებდნენ მონაწილეობას, როგორც ისრაელის მკვიდრი ისე დიასპორის ებრაელი მოზარდები. მეოთხე ტურისათვის კი კონკურსის მონაწილეთა რიცხვი მხოლოდ 31-ით შემოიფარგლა, აქედან 6 იყო დიასპორიდან, ხოლო დანარჩენი 25 ისრაელის მკვიდრი.

28 ოქტომბერს, თელ-ავივის დახურულ სპორტულ დარბაზ «მაკაბიში» 8000 მაყურებელს მოეყარა თავი, რათა თვალყური ედევნებინა მეოთხე ტურის მსვლელობისათვის. დამსწრეთა შორის იყვნენ უდიდესი რაბინები და იმ საელჩოს წარმომადგენლები, რომელი ქვეყნის ბავშვებიც გავიდნენ დასკვნით ტურში. ცერემონიამ გრანდიოზულად ჩაიარა. რაბინთა გადამწყვეტილებითა და ვიქტორინის შედეგებით ორი გამარჯვებული გამოვლინდა: პირველი — კონკურსის ხათანი — 16 წლის ისრაელიელი ვახდა, ხოლო მეორე ხათანი — დიასპორიდან.

და რაოდენ სასიხარულოა, რომ დიასპორის ხათანის ტიტული ერგო ქართველ ებრაელ ყმაწვილს, თბილისის ებრაული სკოლა «თიფერეთ ცვის» აღსაზრდელს — მოშეხაიმ მდინარაძეს.

უნდა აღინიშნოს, რომ კონკურსის თემატიკა «შმიტის წელი» მთლი-

ანად იმ კანონებსა და წეს - ჩვეულებებზეა აგებული, რომელიც მხოლოდ ისრაელში მოქმედებს. ერთ-ორად გასახარია ის ფაქტი, რომ დიასპორელმა ყმაწვილმა ეს კანონები ისე საფუძვლიანად შეისწავლა და აითვისა, რომ უკან ჩამოიტოვა ასობით ისრაელიელი თანატოლი და გამარჯვება არავის დაუთმო.

«ჰაცლახოთ» — ასე უსურვებენ ხოლმე წარმატებას თანახის ენაზე, ხოდა ვუსურვოთ წარმატება ამ ბეჯით და გონებაგახსნილ მოზარდს, რომელსაც ჯერ კიდევ არ უგემია ბარ-მიცვის ვალდებულებით დაკისრებული სიმოვნება, თუმცა, კი საკუთარი წარმატებით ცხადყოფს, რომ ის უდავოდ არის თბილისის ებრაული ჯამაათის სრულუფლებიანი წევრი. გამჩენმა ინებოს რომ მომრავლებოდეს მსგავსი წევრები ჩვენს ჯამაათს. აქვე ვულოცავთ მის მშობლებს, ახლობლებს, პედაგოგებსა და მეგობრებს, თავად გამარჯვებულს კი დავულოცავთ გზას წმინდა მიწაზე, "ეს ერთი და სხვა მრავალი..."



შიდაური, კარაა უსსო?

(ფიქრები ბ. პატარაკაციშვილის დაბადების დღეს — 31 ოქტომბერს)

გარდასულმა ხანამ ერთი დიდი ანდერძი დაუტოვა ებრაელობას: სიფრთხილე მუდამ თან უნდა გდევდეს, სიყვარულსა და სიძულვილს შორის არც თუ დიდი მანძილია და რაოდენ კარგადაც არ უნდა იყოს საქმე, ამ სიყვარულის, მეგობრული ურთიერთობის წამლეკავნი მაშინ გამოდიან მზის სინათლეზე, როცა ამის აუცილებლობას დაინახავენ, მანამდე კი უხმოდ სხედან.

ბადრი პატარაკაციშვილი, ჩვეულებრივ ებრაულ ოჯახში, ებრაელთა შორის აღზრდილი გახლდათ. ებრაულ დღესასწაულებზე, ალბათ, ისევე დადიოდა ბეთ-ქნესეთში, როგორც მისი ტოლი, უბნელი ბიჭები. წამოიზარდა და თავის ქვეყანაზე შეყვარებულ თბილისელ კაცად ჩამოყალიბდა. მასში იმდენად ძლიერი იყო ქართულ სამყაროსთან, ქართულ სულიერებასთან იდენტიფიკაცია, რომ სხვად ვერც წარმოედგინა თავი. ქართული სახელმწიფოებრიობის ერთგული გახლდათ ისე, როგორც, ქართველ ებრაელთა მასშიმალური უმეტესობა, ქართული შემეცნების მატარებელიც. მეგობარ-ამხანაგები ქართველებიც ჰყავდა, მეუღლესაც ჩინებული ქართველი ქალი. თუმცა, ამის გამო ებრაულ სამყაროსთან სულაც არ გაუნყვევტია კავშირი — პირიქით, არა მხოლოდ სიახლოვე ჰქონდა მასთან — ჭირსა და ლხინში გვერდით ედგა. რამდენი სიკეთე გაუკეთებია ებრაული თემის, მისი ღირსების ამაღლებისათვის. მასში, ისე როგორც ბევრი ქართველი ებრაელის სულში, ქართული ზარაც რეკდა და — ებრაულიც. ერთი სიტყვით, ის მინდა ვთქვა, რომ ქართულ-ებრაული სულისკვეთების, მსოფლგანცდის კაცად ჩამოყალიბდა. აჰან და კიდევ იმან, რომ ძალიც მოსდევდა, ათქმევინა პატიოსანი ქართველი კაცის სათქმელი ფრაზა: „საქართველოს მოაჯამაგირედ მიგულეთ“.

არაფერი გასაკვირი არ არის, თუ ასეთი სულისკვეთების ადამიანი საქართველოს პრეზიდენტობაზე იფიქრებს. მე პირადად მისი ეს გადაწყვეტილება არასწორად მიმაჩნდა და მიმაჩნია, მასთან ახლოობა რომ მქონოდა, უსათუოდ შევახსენებდი დიდ ებრაელთა მაგალიტებს, რომლებიც თავს არიდებდნენ ასეთ ნაბიჯს, მაგრამ იგი თავისი რწმენით მოქმედებდა. მართლაც, თუ შენ ამ ქვეყნის შვილი ხარ, მისი სისხლი და ხორცი, რატომ უნდა იყოს უცნაური პირველი პირობისთვის ბრძოლა მითუმეტეს, ყველა ხედავს, რომ პირველ პირად გახდომა მიუწვევდომლის მისაწვდომად კი არ გვჭირდება (მას პრეზიდენტზე მეტი აქვს, ფლობს უამრავ ქონებას, თან თავისუფალია, ხალხის წინაშე მოვალეობა არ აკისრია), არამედ იმისთვის, რომ ქვეყანას წაადგე, რასაც ფლობ, იმის გონივრული გამოყენებით ხალხი უკეთეს დღეს სწიო. ე.ი. ნებაყოფლობით იდგამ იმ უღელს, რომლის სიმძიმეც შესაძლოა, გაგსრისოს. უკეთეს, გამარჯვების შემთხვევაში, კი, შესაძლოა, გერგოს რამდენიმე სტრიქონი საქართ-

ველოს ისტორიაში. და თუ შენ ამ ქვეყნის მოჯამაგირეობის სურვილით ცხოვრობ, თუ გნაღია უმდიდრესი კაცის ტახტი ურთულესი გეოპოლიტიკური მდგომარეობის ქვეყნის ბედის გამგებლის უშიშმეს უღელზე გაცვალო, რატომ უნდა იყოს ეს სააუგო სახსენებელი?

იგი საქართველოს მოჯამაგირეობას პრეზიდენტობით ეპირებოდა.

დაიჯერა და შეცდა? მეტისმეტად ირწმუნა ის, რაც არ უნდა ერწმუნა?

და კაცს, რომელიც ამ მინაზე 26 საუკუნეა ცხოვრობს, შესძახეს, მესხიერება

ბადრი პატარაკაციშვილს კავლარ ნოზაძე

მე არ გეცნობი, ბატონო. მაგრამ მთასავით მამრთელევენ. მე ვიცი თბილისის პატრონობ და უფრო სწორად, ქართველებს!

თბილისში გიდგას ფესვები და შენც გაწუხებს კულუხი*. სიყვარულს დაგესესხები, რადგან კაცი ხარ გულუხვი!

შენი ხმა ისე გაჟღერდა, როგორც ბრძოლაში ოროლი. შენზე ვინა თქვა, დაბერდა, გული გამოგყვა ტოროლის!

შენი სიცოცხლე დამშვენდა, იყავით ძმობის მჭედელი. საქართველოშიც აშენდა, ბადრი, გოდების კედელი!

სანთლით დაგეძებ ნასუეტი, გამოგიტყდები, შორი ხარ. პატარაკაციშვილს არ გეტყვი, — დიდ კაციშვილის გორის ხარ!

ქ. გორი

*კურუხი — ყველაზე მძიმე გადასახადი ძველ საქართველოში

გილალატა, შენ ჩვენი არა ხარ! (არადა, ქართული სულისკვეთებისა იყო, იმათი კი მართლაც არ იყო) თუ შენ დაგვიწყნა, რომ უცხო ხარ, ჩვენ გვახსოვსო.

და თბილისის უბნებში, ამა თუ იმ ქალაქში საარჩევნო კამპანიის დღეებში ხალხს შეახსენებდნენ, რომ არჩევანი უნდა გააკეთონ ძირძველსა და უცხოს შორის, რომ ამ მინაზე, ამ ქვეყანაში მოსული კი არ უნდა იყოს პირველი პირი, არამედ ამ მინის მკვიდრი.

მას კი ამ მინის ჭეშმარიტ მკვიდრად მიაჩნდა თავი.

არისერთიგნისა, ნერვიული შეძახილები.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამოდ დავმშვრალვართ, სულ ტყული ყოფილა ქება 26 საუკუნოვანი თანაცხოვრებისა. თუ ესენი, ჩვენი დროის ქართველი დიდებულნი, მიიჩნევენ, რომ მე მხოლოდ ლაპარაკის უფლება მაქვს და როგორც კი მოვიქცევი ვით ყოველი ჩვეულებრივი თანამედროვე პიროვნება, შემძახებენ:

— ციც, შენ ამის უფლება არა გაქვს!

— შენ უცხო ხარ!

— ისევ იქ დაბრუნდი, საიდანაც მოხველ!

ამაო ყოფილა ყველაფერი.

თბილისის ქუჩებში გინებაც კი ისმის.

გინება, როგორც მონოდება, ლოზუნგი.

იგინებიან საჯაროდ, სახალხოდ... ომახიანად, ხმაშენყობილად: „ბადრის რა? დედის...“

სწორედ ეს გინება, გამოვლენილი უხამსობა გახლავთ შვების მომგვრელი, პარადოქსია: გინება გულს ეამება, რადგან ხედავ: ეს არ არის ქართველი ხალხის სიტყვა. ამ უხამსობას ქართველი ხალხი კი არ შესძახებს ბადრი პატარაკაციშვილს, არამედ პარტია, პარტიის დასაწინააღრებელი, ცხოვრების მონყოლას, ხალხზე გამგებლობას მონადინებული პარტიის შვილები, საშუალო თუ საშუალოზე დაბალი ნიჭის წევრები ამ პარტიისა. მათ სხვა არაფერი ძალუძთ. მათ მხოლოდ გინება ძალუძთ, ესენი გინებით უნდა ამაღლდნენ, ესენი ხალხს როზგავენ, ცხვირ-პირს ამტვრევენ, საღამოს კი გამარჯვებული გენერლებით დაბიჯებენ ქუჩებში, ერთმანეთს ეხვევიან, კოცნიან, ულოცავენ ადამიანების დათრგუნვას. ბათუმის განმათავისუფლებელი გენერალი მანიაშვილი არ დადიოდა ისე წელგამართული, ამაყი კაცის ნაბიჯებით, როგორც ესენი — პარტიის დასაწინააღრებელი წევრები.

არა, ეს არ არის ქართველი ხალხი, ეს პარტია!

თუმცა, ვერც პარტიაზე იტყვი ამას. ამ პარტიაში ბევრი წესიერი, ქართული კდემამოსილებით, ზრდილობითა და ოჯახიშვილობით აღვსილი ადამიანი ვიცი. — რა ჰქნან, ცხოვრებას რა უყონ, პარტიის ამ წევრებს თავიანთი გეგმები აქვთ: ადამიანმა ცხოვრება ხომ უნდა მოიწყოს, ამათ კი ამ გზით — გინებით — სურთ მისწვდნენ უზრუნველ ცხოვრებას.

მრავალი სამინელი ეპიზოდი მინახავს ეკრანსა თუ სცენაზე. ეს ეპიზოდი ერთ-ერთ-

თი იმათგანია:

— ყოჩაღ, ბიჭებო, კარგად დაიცავით ქალაქი, უცხოს არ გაამარჯვებინეთ! — ერთმანეთს ეხვევიან, კოცნიან.

ისინი, წესრიგის დამცველები, კი იმშუმნებია. ამათ ხომ ყველაზე უკეთ იციან, რაც ჰქმნეს — როგორ ადინეს სისხლი მოძმეთ.

არა, არ არის ეს ქართველი ხალხის სათქმელი.

ქართველი ხალხი ორიოდ თვის შემდეგ იტყვის თავის სიტყვას — ბადრის დაკრძალვის დღეებში. ქართველი ხალხი საათობით დგას რიგში, რომ მის ცხედარს პატივი მიაგოს. მერე კი მის კუბოს ხელში აიტატებს და სამარეში ტანსაცმით ჩაასვენებს.

მძიმეა, ძალიან მძიმეა სამარეში ჩასვლა — იქნება ეს დუმილით თუ ტანსაცმით, მით უმეტეს იმ ადამიანისა, რომელიც ხალხს სჭიროდა.

ბადრი პატარაკაციშვილი კი საქართველოს სჭიროდა — მას საქართველოს მოჯამაგირეობა ენადა.

ამ ბოლო ხანს ხშირად ვფიქრობ: იმათგან, ვინც თბილისის ქუჩებს აყრუებდა შეძახილით: „ბადრის რა?“ სამარის კართან ვინ დაუკრავს ტაშს?

ამბობენ, ბ. პატარაკაციშვილი ხელისუფლებამ მონამლო. არა მჯერა. რა საჭირო იყო — იგი უკვე მონამლული გახლდათ — ქუჩებში ლანძღვა-გინება ვერ აიტანა კაცმა, რომელიც ადამიანებს სიკეთეს და სიცოცხლეს ჩუქნიდა.

გუგამ გათიანვილი

ახალი ებრაული კალენდარი

საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის კალენდარი

הנה חוה"מ
ש"ש
קალენדარი
2008 2009
WCGJ
היחידה של יהודי גרוזיה
საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესი

თბილისის ებრაული სახლის კალენდარი

עבראული
קאלენדარი
ЕВРЕЙСКИЙ
КАЛЕНДАРЬ
ש"ש 5769
שנה טובה!
ШАНА ТОВА!
SHANAH TOVAH!

როზ ჰაზანიდან როზ ჰაზანამდე

როგორ ვცხოვრობდით 5767-68 წლებში ბაზეთ „მეორას“ მასალების მიხედვით

2007 წელი, სექტემბერი

ებრაულმა სათემო სახლმა და „ჯოინტმა“ გამოსცეს 5768 წლის კალენდარი. კალენდრის შედგენაში მონაწილეობა მიიღეს ზ. დავარაშვილმა და ზ. მანაშეროვმა. კალენდარი ორენოვანია – ქართული და რუსული. მასში შესულია ყველა ებრაული დღესასწაული.

23 სექტემბერი. მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში ქართული და ებრაული საზოგადოების წარმომადგენლები შეიკრიბნენ. შეხვედრის მიზეზი საქართველოში გამოძვავალი რუსულენოვანი ებრაული განხეთ „შალომის“ 15 წლის იუბილე იყო.

სექტემბრის მინურულსა და ოქტომბრის დამდეგს ბატონი იოსებ ბარდანაშვილი ეწვია საქართველოს. იგი ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის საპატიო სტუმარი გახლდათ, რომელიც დაარსების 90 წლისთავს ზეიმობდა.

რამინ იაკობაშვილს – თბილისის ებრაული თემის ერთ-ერთ ღირსეულ წარმომადგენელს, 70 წელი შეუსრულდა. ეს დღე „მეორამ“ გულითადად მიულოცა ამ ღირსეულ ადამიანს.

ოქტომბერი

9 ოქტომბერი – პროფესორმა რუბენ ენოსმა ლექცია წაიკითხა ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში. ლექციის თემა გახლდათ „ფიქრები ბიბლიური წიგნების ქართული თარგმანების შესახებ.“ ლექციამ დამსწრე საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია.

18 ოქტომბერი. თბილისის ებრაულ სათემო სახლს ეწვია „ჯოინტის“ დიდი დელეგაცია. დელეგაციის წევრები გახლდნენ: სტენლი აბრამოვიჩი – ამიერკავკასიისა და სამხრეთ რუსეთის „ჯოინტის“ დირექტორი, ბარი ეფრონი – მეტალურგიის ინჟინერი, ქერილ ფიშბაინი – კურატორი, მელინა გოლდრისი, ელიოტ გოლდშტაინი – საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომელი, ჯერი პარისონი – მასწავლებელი, დონ ლინკერი, ირინა ლიბსკი, დევი მილერი – დამფუძნებელი, კენი მილერი – ფინანსისტი, ქერილ საივეტი – სოციოლოგი ფილ შატაენი – ბანკირი, ლი საილდერი – პროფესორი, მიხაელ ვარეტი – პარტნიორი, სტივენ ვექსლერი – GEO-ს პრეზიდენტი. სტუმრები გაეცნენ სათემო სახლის მუშაობას.

საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტს ბატონ მიხეილ მირილაშვილს 65 წლის იუბილეს ულოცავენ: ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი – ალექსანდრე მაშკევიჩი. ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის გენერალური მდივანი, რუსეთის ვადის პრეზიდენტი – მიხეილ ჩლენოვი, ევრ-

აზიის ებრაელთა კონგრესის გენერალური საბჭოს თავმჯდომარე, უკრაინის ვადის თავმჯდომარე იოსებ ზისელი, ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში – შაბთაი ცური, პროფესორი – შალვა ცივიონი (წინვაშვილი) ჯემალ ავიაშვილი, განხეთ „მეორას“ დამფუძნებელი და რედაქტორი – გურამ ბათიაშვილი. პროფესორი – დავით ბაზოვი, თელ-ავივის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დოქტორი – დოდო ჩიკვაშვილი.

ბატონი ლეო ბოთერი (ბოთერაშვილი) თბილისს ახლობელთა საფლავების მონასტულების მიზნით ეწვია. მან საქართველო 1974წ. დატოვა. ახლა კი ნიუ-იორკში ცხოვრობს. პროფესიით იგი ექიმ-გინეკოლოგი გახლდათ.

ნოემბერი

22 ნოემბერი. თბილისის ებრაული სახლი უამრავ სტუმარს მასპინძლობდა. „კოლ სასონ ვეკოლ სიმბა.“ სწორედ ამ სახელწოდების ღონისძიებაზე უამრავი სტუმარი მიწვეული იყო. ეს ღონისძიება მიზნად ისახავს თემის წევრების საზეიმო, მნიშვნელოვანი თარიღების აღნიშვნას.

27-29 ნოემბერს ქალაქ ელათში, სასტუმრო „ჰილტონში“ ჩატარეს ჟურნალისტიკა საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენციაზე მიწვეული იყვნენ: პრესის, რადიოს და ტელევიზიის მუშაკები. ამ კონფერენციაში მთარგმნელი და ჟურნალისტი თამარ მამისთვალაოვი-კვებრაშვილიც მონაწილეობდა.

ნოემბერი. ისრაელში, საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ისრაელის უნივერსიტეტებს შორის, კავშირის თაობაზე სპეციალური მიწვევით ისრაელში იმყოფებოდნენ ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილე თამარ მასარაშვილი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გია საბუა.

დეკემბერი

ხანუქის დღესასწაული საქართველოში მცხოვრებ თითოეულ ებრაელს და მთელს ებრაულ თემს მიულოცა ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩმა საქართველოში შაბთაი ცურმა და საქართველოს მთავარმა რაბინმა – არიელ ლევიმმა.

5 დეკემბერი. ებრაულ სახლში ჩატარდა ხანუქისადმი მიძღვნილი ღონისძიება. სტუმრებს შორის ბევრი საპატიო სტუმარი იყო. ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი – შაბთაი ცური, საქართველოს მთავარი რაბინის მოვალეობის შემსრულებელი ავიმელეს როზენბლატი და ა.შ.

12 დეკემბერი. ებრაულ სახლში გაიმართა წიგნის ფესტივალი, რომლის ორგანიზატორი გახლდათ ებრაული კულტურული საგანმანათლებლო ცენტრის დირექტორი ელენე ბერკოვიჩი. საქართველოში ეს

ფესტივალი 11 წელია ტარდება.

2008 წელი, იანვარი

იანვრის დამდეგს ამოქმედდა საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის კიდევ ერთი პროექტი – ისრაელის ქალაქ ლოდში ყოველი შაბათის წინ, ყოველი ხელმოკლე ოჯახი მიიღებს 20 დოლარის ღირებულების სურსათს. ანალოგიური პროექტი მოქმედებს საქართველოშიც. ამ პროექტის განსახორციელებლად 6 იანვარს ქალაქ ლოდში ჩავიდნენ სემკ-ის პრეზიდენტი – მიხეილ მირილაშვილი, სემკ-ის თანათავმჯდომარე – გურამ ბათიაშვილი. თანათავმჯდომარის მოადგილე – დავით ბაზოვი დირექტორი არონ ალშვილი და სემკ-ის აქტივისტები.

17 იანვარი. ებრაულ სახლში, ებრაული საზოგადოება „კაბალათ შაბათს“ აღნიშნავდა. ასევე აღნიშნავდნენ „ტუ ბიშვატს“ (ხეების ახალ წელს)

18 იანვარი. ებრაულ სათემო სახლს ეწვივნენ, „ჯოინტის“ კურატორი კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნებში – ვიზელი და ირინა რიბსკი. აქ გახდა ცნობილი, რომ ვიზელი ქალბატონმა ირინა რიბსკიმ შეცვალა საქართველოში.

21 იანვარი. თბილისში ჩამოვიდა ინგლისელ ებრაელთა დელეგაცია. მათი მიზანი იყო ადგილზე გაცნობოდნენ თუ როგორ მიმდინარეობს ხელმოკლე ებრაელთა დახმარება, რომელიც უშუალოდ მათი ხელმძღვანელობით ხორციელდება. დელეგაციის შემადგენლობაში არიან: იგალ რუხი, რინა როზენბლატი, ჟინ მარკსი, პაულ ანტიკონი, კეისი უილიამსი.

თებერვალი

3 თებერვალი. კიევში, გალუცკის ბეით-ქნესეთის შენობაში გაიმართა ისრაელის მიერ დსთ-ს ქვეყნებში წარგზავნილ პირთა ფორუმი. ფორუმში მონაწილეობდნენ ისრაელის ელჩები დსთ-ს ქვეყნებში. ფორუმმა განიხილა დსთ-დან ისრაელში რეპატრიაციის შემცირების, დსთ-ს ქვეყნებში მცხოვრებთა ებრაული განათლების გაძლიერების, ანტისემიტისმიის საკითხები.

4 თებერვალი. მოსკოვში რსფსრ კულტურისა და კინომატოგრაფიის სააგენტოში ცნობილი მწერლისა და დრამატურგის გურამ ბათიაშვილის მოსკოვში გამოცემული რომანის „ბაბილონელი კაცი“ და მისივე სცენარის მიხედვით რუსთაველის პრემიის ლაურეატის მერაბ კოკოჩაშვილის მიერ შექმნილი დოკუმენტური ფილმის „იმ ეშქას, იერუშალაიმ“-ის პრეზენტაცია გაიმართა. პრეზენტაციაზე ფილმსა და რომანზე ისაუბრეს მიხეილ შვიდკოიმ – კულტურისა და კინომატოგრაფიის ფედერალური სააგენტოს მეთაურმა. ალექსანდრე ებანოიძემ – ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ რედაქტორმა, რუსულ ენაზე ქართული პროზის ცნობილმა მთარგმნელმა – ანაიდია ბესტავაშვილმა და სხვებმა ისაუბრეს.

მოსკოვში სამ დღეს მიმდინარეობდა იუდაიკის საკითხებისადმი მიძღვნილი ყოველწლიური მეთხუთმეტე კონფერენცია. კონფერენციაზე წავითხულ იქნა. მოხსენებები ებრაელი ხალხის, ისრაელის ისტორიის, ეთნოგრაფიის, კულტურის, სამეცნიერო მონაპოვრის თაობაზე. საქართველოდან კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ პროფესორი გურამ ლორთქიფანიძე და ქნერალი გურამ ბათიაშვილი.

ყველა ებრაელის, და არა მარტო ებრაელის, გულში მწუხარებამ დაისადგურა, იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქველმოქმედი ბატონი ბადრი პატარკაციშვილი.

13-16 თებერვალი – აშშ-ს ძირითადი ებრაული ორგანიზაციების და ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის კონფერენცია მოეწყო თბილისში. ამ ორგანიზაციაში გაერთიანებული არიან ძირითადი ებრაული ორგანიზაციის პრეზიდენტები. ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესი 2002 წელს შეიქმნა და 25 ქვეყანაში ებრაელობას აერთიანებს. მასში შედიან: ავსტრალიის, აზერბაიჯანის, ბელორუსიის, ბულგარეთის, ინდოეთის, ყაზახეთის, კორეის, ყირგიზეთის, მოლდოვის, მონღოლეთის, ახალი ზელანდიის, რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, თურქეთის, საქართველოს, უზბეკეთის, იაპონიის, ფილიპინების, სომხეთის, ინდონეზიის და სხვა სახელმწიფოთა ებრაელები. ამ ორგანიზაციის წევრები არიან მწერლები ჯემალ ავიაშვილი და გურამ ბათიაშვილი, ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი ალექსანდრე მაშკევიჩი, გენერალური მდივანი – მიხეილ ჩლენოვი, გენერალური საბჭოს თავმჯდომარე – იოსებ ზისელი. სტუმართა შორის იმყოფებოდნენ: ჯონ ტიფტი, უოლფერი, მალკოლმ პერლანი, შაბთაი ცური, დავით კვებრაშვილი, თემურ იაკობაშვილი, დავით ბუნემი, მიხეილ ჩლენოვი, ბრუნდა შიფერი, ავი იდანი, ნინო

ბადრი პატარკაციშვილის გარდასვალა

„ის კაცი იყო, ვით შიჰჰარის კაცსა კაცობა“

შექსპირი



ბურჯანაძე, სოზარ სუბარი, დავით უსუფაშვილი, მიხეილ სააკაშვილი, ვლადიმერ გურგენიძე, გიორგი ბარამიძე, გია ნოდია, ეკა შარაშიძე, ალექსანდრე ხეთაგური, ალექსანდრე კვიციანიშვილი, ჯონ ტეფტი, დავით ბაქრაძე, ლაშა ჟვანია, მიხეილ ომტრახი, ვიქტორია მოჩალოვა, ქუან უოლკერი, დან მარიაშინი, რიმა გოლოვია.

მარტი

9 მარტი. ებრაულ სახლში მონვეული იყვნენ ქართველი და ებრაელი ქალბატონები, შეხვედრა მიეძღვნა 3 და 8 მარტს – დედისა და ქალთა დღეებს.

12 მარტი. საინჟინრო აკადემიის ინიციატივით ებრაულ სახლში მოხსენეს თემურ მდინარაძის მოხსენება თემაზე: – „ვეფხისტყაოსნის შესატყვისობა ბიბლიასთან, ებრაული და ქართული ენის ერთნარმოვანობისა და სულიერების შესახებ.“

საქართველოში გამომავალი ებრაული გაზეთის „მენორას“ 15 წლისთავთან დაკავშირებით „მენორას“ რედაქციამ მოინვია თბილისის ებრაული თემის რამდენიმე ღირსეული წარმომადგენელი: რეზო შათაშვილი, ზაირა დავარაშვილი, ანზორ ბალუაშვილი, შალვა ფიჩხაძე, ლერი შიმშილაშვილი, ჯემალ სეფიაშვილი, გივი ლამბაშიძე, ლელა წურწუშია.

საუბარი შეეხო იუბილის ჩატარების საკითხს.

მარტის დასასრული. იერუსალიმის ჯოინტიდან მოდის ზეპირი განცხადება თბილისის ებრაული სახლის მოსალოდნელი ტერაქტის დახურვის გამო. **ბარბელი**

1 აპრილი. ისრაელის საელჩოში საქართველოში მწვავე დისკუსია გაიმართა ებრაულ სათემო სახლის დახურვასთან დაკავშირებით.

იქმნება ებრაულ სახლთან სოლიდარობის კომიტეტი.

14 აპრილი. თბილისის ბეთ ქნესეთში მოენყო საზეიმო ცერემონიალი, რომელიც ეძღვნებოდა ბეთ ქნესეთში სეფერთორას შებრძანებას. ეს ცერემონიალი კი დიდი დღესასწაულის – ფესახის შემობრძანებას მიეძღვნა.

16 აპრილი. თბილისის ბეთ-ქნესეთში ეწყობა ებრაული სახლის თანამშრომელთა და თემის წევრთა შეკრება. ებრაულ სახლთან სოლიდარობის კომიტეტი დაამსრუტე მოუწოდებს 4 მაისს დაიკავონ ებრაული სახლი.

ფესახის დღესასწაული ებრაულ თემს მიულოცა გრიგოლ ბროდსკი – ებრაული სააგენტოს წარმომადგენლობის მეთაურმა სამხრეთ კავკასიაში. მიზიკო მირელაშვილმა ქართველ ებრაელთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტმა, პრონ ელაშვილმა – კონგრესის დირექტორმა, ავიმელეს როზენბლატმა – მთავარი რაბინის მოვალეობის შემსრულებელმა საქართველოში, სერგო ვლასოვმა – „ჯოინტის“ წარმომადგენელმა საქართველოში, თბილისის „ჯოინტის“ კოლექტივმა.

მაისი

8 მაისი. ისრაელის საელჩოში საქართველოში კლუბ „ტრიუმფში“ ისრაელის სახელმწიფოს 60 წლისთავის იუბილე აღნიშნა. აქ იმყოფებოდნენ ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში შაბთაი ცური, მისი მეუღლე ქნი ლეა ცური. საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II, პრემიერ მინისტრი ვლადიმერ გურგენიძე, საგარეო საქმეთა მინისტრი ეკა ტყეშელაშვილი, მთავარი რაბინი არიელ ლევინი, ამერიკის ელჩი საქართველოში ჯონ ტეფტი.

9 მაისი. ისრაელის 60 წლისთავის აღსანიშნავად ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მალღიე კორპუსთან გაიხსნა ისრაელის ხეივანი. ამასთან დაკავშირებით დაირგო ისრაელიდან ჩამოტანილი 60 ხე.

9 მაისი. საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა „ქარვასლაში“ გახსნა სურათების გამოფენა სახელწოდებით „ქართველ ებრაელთა კულტურა და ყოფა.“

12 მაისი. ისრაელის ბიზნესპალატამ (ხელმძღვანელი იციკ მოშე) „ქორთიარდ მერიოტში“ გამართა ბიზნეს ფორუმი. მასში ისრაელიდან ჩამოსული 50-მდე ბიზნესმენი მონაწილეობდა.

13-15 მაისი. იერუსალიმში „ბინიანიე ჰაუმა“-ში გაიმართა კონფერენცია, რომელიც მოწყობილ იქნა ისრაელის პრეზიდენტის შიმონ პერესის მიერ. მასში მონაწილეობდნენ მრავალი ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწეები, ინვესტორები, რაბინები, ბიზნესმენები, მსოფლიო ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის მნიშვნელოვანი წარმომადგენლები. განხილულ იქნა ებრაელი ერის წვლილი მსოფლიო ცივილიზაციაში, კაცობრიობის წინაშე არსებული საკითხები და სხვ. კონგრესში მონაწილეობდა საქართველოს პრეზიდენტი – მიხეილ სააკაშვილი.

ივნისი

15 ივნისი. თეატრალურმა ჯგუფმა, რომელსაც ხელმძღვანელობს ლია ხოტივარი გამართა

წლის სასიხარულო ფაქტი: დაბრუნებული თბილისის ებრაული სახლი



ლიტერატურული საღამო – „შავუთ.“

29 ივნისი. თელ-ავივის სასტუმრო „დან პანორამას“ უამრავი ადამიანი სტუმრობდა. აქ იმყოფებოდნენ ისრაელში აკრედიტირებული დიპლომატები, კულტურის, ბიზნესის, სამეცნიერო წრეების და ქართველი ებრაელების წარმომადგენლები. ისინი სინანულს განიცდიდნენ იმასთან დაკავშირებით, რომ ბატონი ლაშა ჟვანია ტოვებდა ელჩის თანამდებობას ისრაელში და სამშობლოში ბრუნდებოდა.

ივლისი

11-18 ივლისი. ისრაელის ქალაქებში ჩატარდა თბილისის „გოგი ქავთარაძის ახალი თეატრის“ გასტროლები. საგასტროლო რეპერტუარში გახლდათ გურამ ბათიაშვილის პიესის მიხედვით შექმნილი სპექტაკლი „სიყვარულის თამაში.“

15 ივლისი. უკვე ტრადიციად იქცა, რომ ისრაელის ქნესეთში დრო და დრო იმართებოდა ქართველ ებრაელთა ღირსების დღე. ეს ტრადიცია არც ამ წელს დარღვეულა. ქართველ ებრაელთა დღე მოაწყო ქნესეთის წევრმა **აბრამ მიხაელმა (მიხელაშვილმა).**

აგვისტო

9 აგვისტო. რუსეთმა საომარი მოქმედებები დაიწყო საქართველოში. ისრაელში რუსეთის საელჩოს წინ საპროტესტო აქცია გაიმართა.

10 აგვისტო. საომარი მოქმედების დროს გორში და არა მარტო გორში, მცხოვრებ დაზარალებულ ებრაელთათვის ევრ-აზიის კონგრესმა შეიმუშავა დახმარების გეგმა.

11 აგვისტო. თბილისში ჩამოვიდნენ კონსულები ისრაელიდან: ესენი იყვნენ დავით ბენიში და მიხეილ ბარენი. მათი ვიზიტის მიზანი იყო დახმარებოდნენ საქართველოში მცხოვრებ ებრაელებს.

11 აგვისტო. რიგით მეორე საპროტესტო აქცია ისრაელში რუსეთის საელჩოსთან გაიმართა – გამოხატავდნენ პროტესტს საქართველოს წინააღმდეგ, რუსეთის სამხედრო აგრესიის გამო.

12 აგვისტო – გორში საომარი მოქმედების დროს მძიმედ დაიჭრა ისრაელის პოპულარული გაზეთის „ედითი აბრონიოთის“ ჟურნალისტი ცადიკ იეხიზვიელი. თბილისში ჩატარებული ოპერაციის შემდეგ ჟურნალისტი იმავე ღამეს სპეციალური თვითმფრინავით გადაიყვანეს ისრაელში.

14 აგვისტო. ყველაზე მასშტაბური აქცია თელ-ავივის სანაპიროზე აშშ-ს საელჩოდან საფრანგეთის საელჩომდე გაიმართა. მასში მონაწილე 2000-ზე მეტმა ადამიანმა ცოცხალი ჯაჭვი შეკრა და ასე გამოხატა თავისი პროტესტი.

15 აგვისტო. თბილისის სათემო სახლს ეწვია „ჯოინტის“ კანტიდირექტორი – იცხაკ ავერბუხი, რომელმაც შეკრებილ საზოგადოებას სასიხარულო ამბავი აცნობა თბილისის ებრაული სახლის გახსნასთან დაკავშირებით.

22 აგვისტო. თბილისის ებრაული სახლი შაბათის მობრძანებას საზეიმოდ შეხვდა. აქ ბევრჯერ აღუნიშნავთ კაბალათ შაბათი, მაგრამ ეს დღე

განსაკუთრებული იყო იმ თვალსაზრისით, რომ გორიდან დევნილი ებრაელები შაბათს მშვიდობიან ატმოსფეროში ეგებებოდნენ.

საქართველოში მუშაობას შეუდგა ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში იცხაკ გერბერგი.

სექტემბერი

2 სექტემბერი. საქართველოში ისრაელის ბიზნეს-პალატის ეგიდით ისრაელში სამკურნალოდ გადაიყვანეს ოცი ქართველი მეზრძოლი.

4 სექტემბერი. საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების შენობაში ჩატარდა ხაიფიდან დაბრუნებული „მაშავის“ პროგრამის კურსდამთავრებულთათვის სერთიფიკატების გადაცემის ცერემონიალი.

7 სექტემბერი. საქართველოში ჩამოვიდა ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის გენერალური საბჭოს თავმჯდომარე, უკრაინის „ვაადის“ პრეზიდენტი იოსებ ზისელსი. იგი ევრ-აზიის ებრაული კონგრესის გენერალური საბჭოს წევრებთან გურამ ბათიაშვილთან და ელენე ბერკოვიჩთან ერთად გორს ეწვია.

8 სექტემბერი. ისრაელის საპარლამენტო დელეგაცია აბრამ მიხაელის ხელმძღვანელობით საქართველოში ჩამოვიდა. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ: ისრაელის აბსორპციის ყოფილი მინისტრი – იული ედელშტეინი, ლეონ ლიტინსკი და მათი თანმხლები პირები. მათ მოინახულეს გორი და მრავალი ღირსშესანიშნავი ადგილი, შეხვდნენ მთავრობის პირებს.

14 სექტემბერი. საქართველოს საქმიანი ვიზიტით ესტუმრა ისრაელის ჯანდაცვის მინისტრი იაკოვ ბენიზერი. ბატონ მინისტრის მიზანი იყო გაცნობოდა საქართველოში ჯანდაცვის პროგრამას.

23 სექტემბერი. ებრაული სკოლის „თიფერეთ ცვის“ დარბაზში შეიკრიბა ქალთა საზოგადოება. ისინი აღნიშნავდნენ მე-10 სასწავლო წლის პირველ შეხვედრას.

სექტემბერი. საქართველოში იმყოფებოდა იერუსალიმის „ჯოინტის“ მეთაური ბატონი აშერ ოსტრინი. მასთან ერთად თბილისს სტუმრობდნენ „ჯოინტის“ კანტრი დირექტორი იცხაკ ავერბუხი და საბავშვო პროგრამების კურატორი.

30 სექტემბერი. 1 ოქტომბერი – რომ ჰამანა – ებრაული ახალი წელი. ამ დღესასწაულს ებრაელებს ულოცავენ: არიელ ლევინი – საქართველოს მთავარი რაბინი, ავიმელეს როზენბლატი – საქართველოს მთავარი რაბინის მოვალეობის შემსრულებელი საქართველოში, სერგო ვლასოვი – „ჯოინტის“ წარმომადგენელი საქართველოში, გიორგი ბროდსკი – ებრაული სააგენტოს წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში.

იერუსალიმის შერისთავება

დასაწყისი ანეგდოტს ჰგავს: იერუსალიმის მერის სავარძლისათვის იბრძვიან რაბინი, რუსი ოლიგარქი და ბიზნესმენი, რომელმაც მილიონები „ჰაიტექსის“ სისტემაში იშოვა.

მაგრამ ამ ანეგდოტს არა აქვს შესაფერისი დასასრული. უბრალოდ, სამივე ამთავანი აცხადებს, რომ სწორედ მას ძალუძს იერუსალიმის ყოველი სენის.



სამაგიეროდ, ქალაქის ხელისუფლება არაბულ სექტორს არ უწევდა საბაზო სოციალურ მომსახურებას.

ქალაქის ძირძველმა მაცხოვრებელმა კალეე ზენ დავიდმა ამასწინაობა „ჯერუსალიმ პოსტში“ დაწერა: ახლანდელი არჩევნები „ალბათ გახდება ყველაზე მნიშვნელოვანი, მათ შორის, რაც კი უახლეს ისტორიაში, ამ ქალაქში ჩატარებულა“.

ისრაელელი ებრაელებსათვის მთავარი პრობლემა ისაა, რომ იერუსალიმში მცირდება ებრაული მოსახლეობა, განსაკუთრებით კლებულობს საშუალო კლასის მოსახლეობა.

არარელიგიური ებრაელებისათვის დამატებით სირთულეს ქმნის მოსახლეობაში ულტრაორთოდოქსალური სექტორის ზრდა. ისინი შიშობენ, რომ ორთოდოქსების პიროვნების თავისუფლებაზე ზეწოლით შეიცვლება ქალაქის პრიორიტეტი.

აღმოსავლეთ, არაბული იერუსალიმის მაცხოვრებლები დღემდე არჩვენებში მონაწილეობას არ ლეზულობდნენ, ისინი ამით გამოხატავდნენ პროტესტს იმის გამო, რომ იერუსალიმი ისრაელის კონტროლის ქვეშ მოექცა.

ამ დღეებში იერუსალიმში გაიმართა მუნიციპალური არჩევნები. საყურადღებოა, რომ ისრაელის რამდენიმე ქალაქის სათავეში მოსვლას გეგმავენ ქართულ-ებრაელთა წარმომადგენლებიც.

მთავარი იფიქრის საგანი კი იერუსალიმის მერის არჩევნებია. ვინ მოვა ამ მარაგული ქალაქის სათავეში, როგორ იქნება ქალაქის მომავალი. ამიტომ გთავაზობთ დინა კრაფტის სტატიას, რომელიც ებრაულმა სატელეგრაფო სააგენტომ გავრცელა.

რას განიხილავენ. პორუშუე შეჩერდნენ მას შემდეგ, რაც პარტია „შასის“ ყოფილი ლიდერი, ქრთამის აღების გამო სასჯელ-მოხდელი არიე დეური საარჩევნო სიიდან ამოიღეს — მისი ზოგიერთი დანაშაული ამორალურად სცნეს.

პორუშუე არჩევნების მოგების იმედი აქვს. იგი აკრიტიკებს ფედერალურ ხელისუფლებას იმის გამო, რომ არ ახორციელებს მილიონობით ინვესტიციას იერუსალიმში და იმედი აქვს ულტრაორთოდოქსების ხმას მომცემენო. ულტრაორთოდოქსები კი იერუსალიმის მოსახლეობის 30%-ს შეადგენენ.

პორუშუე მთავარ სამიშროებას არაბულ-ებრაულ დემოგრაფიაში ხედავს.

ებრაული სატელეგრაფო სააგენტოს კორესპონდენტს მან უთხრა, რომ პირველი, რასაც იგი, როგორც იერუსალიმის მერი გააკეთებს, ქალაქში გამოაცხადებს „საგანგებო სიტუაციას“ და იბრძობებს ებრაული მოსახლეობის რაოდენობის გასაზრდელად.

სხადდება ტენდერი

საქართველოს ებრაელთა საქველმოქმედო ცენტრი "ხესედ ელაჰუ" აცხადებს ტენდერს პროგრამაზე სახელწოდებით "მალაზია სმარტ კარტი".

ტენდერში მონაწილეობის მსურველ იურიდიულ პირებს, სასურსათო სუპერმარკეტების მფლობელებს, შეუძლიათ გაეცნონ მის პირობებს "ხესედ ელაჰუ"-ს ადმინისტრაციაში მისამართზე: ქ. თბილისი, ვახტანგ მე-6 ქ. 30, მე-2 სართული.

სასურველია, რომ აღნიშნული სუპერმარკეტები მდებარეობდნენ თბილისის ცენტრალურ რაიონებში და აღჭურვილი იყვნენ კომპიუტერული სისტემით.

ტენდერის პირობების გასაცნობად საჭიროა წარმოდგენილ იქნას შემდეგი დოკუმენტები:

- იურიდიული პირის წესდებას ასლი;
რეგისტრირებული მონაწილის ასლი;
ორგანიზაციის იურიდიული მისამართი;
ორგანიზაციის ხელმძღვანელის პირადობის მოწმობის ასლი და საკომტაჰტო ტელეფონური მონაცემები;
ორგანიზაციის საბანკო რეკვიზიტები;
ცნობა პანკიდან იმის შესახებ, რომ ორგანიზაციის ანგარიში მოქმედებს და არ გააჩნია პიუნჯატის მიმართ ღვაპლიანება.

დოკუმენტების მიღება და ტენდერის პირობების გაცნობა შესაძლებელია "ხესედ ელაჰუ"-ს ადმინისტრაციაში 2008 წლის 17 ნოემბრამდე.

მეუღლე — ყენსერი, შვილები: მარინა, ილო, გური, ძმა — დავითი; დები: ლამარა და ზინა, შვილიშვილები: ლიკა, გიგი, გიორგი, ბათელი; შვილთაშვილი სალი; სიძეები: კარლო ზონენაშვილი, ვანო აბულაშვილი და რატი ვიქტორი; რძლები: ანი სოფო და ნანიკო, ილია და ანი ბაზოვეტს.



მწუხარებით უწიყებია იური ილიას ძე ბაბაშოვის გარდაცვალებას.

ჯონინთის საქართველოს წარმომადგენლობა თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს იური ბაბაშოვის გარდაცვალების გამო

საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტი მიხეილ მირილაშვილი, კონგრესის ცენტრალური ოფისის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ დავით ბაბაშოვის ძმის - იური ბაბაშოვის გარდაცვალების გამო.

ცილა, გურამ, მალხაზ ბათიაშვილები, მანანა, ჯემალ აჯიამვილები თანაგრძნობას უცხადებენ დავით, ილო, მარინე ბაბაშოვის ძმის, მამის - იური ბაბაშოვის გარდაცვალების გამო.

დამფუძნებელი და გამომცემელი: გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე თბილისი, ლეონიძის 11ა, ვახტანგ VI ქ. №30 ტელეფონები: 99.90.96, 77.20.57



რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ. რეგისტრაციის № 4/1-921



რედაქტორი გურამ ბათიაშვილი